საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 04/1653
19.10.2026

ბრძანება

1653-01-4-202610191607

გადაწყვეტილება

შპს „M-სერვისის“ (ს/ნ: 202456920) 2026 წლის 20 აგვისტოს N01/7621 საჩივრის საფუძველზე მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ

1. პროცედურული და ფაქტობრივი გარემოებები

1.1. მომჩივნის პოზიცია

2026 წლის 20 აგვისტოს საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოში (შემდგომში – „სააგენტო“) წარმოდგენილ იქნა შპს „M-სერვისის“ (ს/ნ: 202456920) (შემდგომში – „მომჩივანი“) საჩივარი (N 01/7621), სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსა და 2026-2027 წლების განმავლობაში სხვადასხვა სახის საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის სატენდერო კომისიის მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში „კანონი“) მე-10 მუხლის „ბ“, „გ“ და „ე“ ქვეპუნქტების სავარაუდო დარღვევის შესახებ. საჩივარი უკავშირდება 2026 წლის 26 იანვარს გამოცხადებულ კონსოლიდირებულ ტენდერს (CON260000078), კერძოდ, სატენდერო პირობების განსაზღვრისა და სატენდერო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კოკნკურენციის პრინციპებთან შეუსაბამობას.

მომჩივანის ძირითადი პრეტენზია უკავშირდება კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში შესასყიდი პროდუქციის მე-4 პოზიციაზე მითითებულ ფარმაცევტულ პროდუქტს, რომელიც ითვალისწინებს „ლიდოკაინისა“ და „ქლორჰექსიდინის“ შემცველი პროდუქტის შესყიდვას. მომჩივანის პოზიციით, სატენდერო პირობები ჩამოყალიბდა იმგვარად, რომ შეიზღუდა პოტენციურ მიმწოდებელთა წრე და უპირატესობა მიენიჭა/მოერგო კონკრეტულ ეკონომიკურ აგენტს, კერძოდ, შპს „პსპ-ფარმას“.

მომჩივანი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს პროდუქტის რეგისტრაციასთან დაკავშირებულ მოთხოვნებზე. მისი განმარტებით, სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული პირობები და მათი გამოყენების პრაქტიკა არ შეესაბამებოდა შესყიდვის ობიექტის სამართლებრივ სტატუსს. კერძოდ, მომჩივანი მიუთითებს, რომ გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ შეთავაზებული „LIDO C Sterile Catheter Gel“ არ ექვემდებარებოდა არც

სავალდებულო და არც ნებაყოფლობით რეგისტრაციას, რის გამოც სადავოდ ხდის აღნიშნული პროდუქტის სატენდერო მოთხოვნებთან შესაბამისობას, რომელიც მოითხოვდა სახელმწიფო რეგისტრაციის ეროვნული რეჟიმით ნებაყოფლობით რეგისტრაციას. მომჩივანის შეფასებით, სატენდერო კომისიამ არასწორად შეაფასა პროდუქტის რეგისტრაციის საკითხი და იგი მაინც დასაშვებად მიიჩნია.

გარდა აღნიშნულისა, მომჩივანი სადავოდ ხდის შესყიდვის ობიექტის CPV კოდის განსაზღვრის მართებულობას. კერძოდ, მისი განმარტებით, ტენდერში გამოყენებული CPV კოდი 33600000 („ფარმაცევტული პროდუქტები“) არ შეესაბამება მე-4 პოზიციით გათვალისწინებული პროდუქტის სამართლებრივ ბუნებას. მომჩივანი მიუთითებს „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ფარმაცევტული პროდუქტისა და სამედიცინო დანიშნულების საქონლის ცნებებზე და მიიჩნევს, რომ შესასყიდი პროდუქტი წარმოადგენს სამედიცინო დანიშნულების საქონელს და არა ფარმაცევტულ პროდუქტს. შესაბამისად, მისი პოზიციით, შესყიდვის ობიექტის არასწორმა კლასიფიკაციამ გავლენა მოახდინა სატენდერო პირობების განსაზღვრასა და კონკურენტულ გარემოზე.

მომჩივანი ასევე მიუთითებს შესყიდვის სავარაუდო ღირებულების შეუსაბამობაზე პროდუქტის საბაზრო ფასთან. მისი განმარტებით, მის მიერ დისტრიბუცირებული პროდუქტის საბაზრო ფასი დაახლოებით 40–50%-ით აღემატებოდა ტენდერში განსაზღვრულ სავარაუდო ღირებულებას. მომჩივანის პოზიციით, აღნიშნული გარემოება ზღუდავდა მის შესაძლებლობას, მონაწილეობა მიეღო შესყიდვის პროცესში და კონკურენცია გაეწია სხვა მიმწოდებლებისთვის. ამასთან, იგი მიიჩნევს, რომ სატენდერო პირობების ერთობლიობა ქმნიდა კონკრეტული ეკონომიკური აგენტის სასარგებლოდ კონკურენტულ უპირატესობას.

საკუთარი პოზიციის დასასაბუთებლად მომჩივანი მიუთითებს წინა წლებში ჩატარებულ კონსოლიდირებულ ტენდერებზეც, მათ შორის CON200000391, CON200000179, CON200000328, CON210000359, CON210000639, CON230000207 ტენდერებზე. მომჩივანი მიმოიხილავს აღნიშნულ შესყიდვებში გამოყენებულ ტექნიკურ და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, პროდუქციის რეგისტრაციის პირობებსა და სატენდერო კომისიების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს. მისი შეფასებით, სხვადასხვა პერიოდში გამოყენებული მიდგომები მიუთითებს კონკრეტული მიმწოდებლისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნასა და კონკურენციის შეზღუდვის სავარაუდო პრაქტიკაზე.

მომჩივანი ასევე აღნიშნავს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის წარმოებაშია საქმე №3/1483-25, რომლის ფარგლებშიც მოთხოვნილია სააგენტოში გასაჩივრებული 2026 წლის CON260000078 კონსოლიდირებულ ტენდერთან დაკავშირებული სატენდერო კომისიის 2026 წლის 26 იანვრის №1575-ლ-02, 11 თებერვლის №ლ-CON078-2 და 17 თებერვლის №ლ-CON078-3 სხდომის ოქმების ბათილად ცნობა,

აგრეთვე შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებისთვის ხელახალი კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების დავალება. დამატებით, მომჩივანი მიუთითებს სასამართლო საქმეებზე №3/4602-21 და №3/674-22, რომლებიც წინა წლებში ჩატარებული კონსოლიდირებული ტენდერების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებების ბათილად ცნობას უკავშირდება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მომჩივანი მიიჩნევს, რომ მოპასუხის მიერ სატენდერო პირობების განსაზღვრისა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების შედეგად შეიზღუდა კონკურენცია და შეიქმნა კონკრეტული ეკონომიკური აგენტისათვის უპირატესობის მინიჭების პირობები, რაც, მისი შეფასებით, წარმოადგენს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „ბ“, „გ“ და „ე“ ქვეპუნქტების დარღვევას. შესაბამისად, მომჩივანი ითხოვს აღნიშნული დარღვევების დადგენას, სადავო ოქმების გაუქმებასა და სამომავლოდ მსგავსი დარღვევების პრევენციის მიზნით სავალდებულოდ შესასრულებელი რეკომენდაციების გაცემას.

1.2. მოპასუხე სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს პოზიცია

სააგენტოს 2026 წლის 21 აგვისტოს N 02/5669 წერილით საჩივარი და თანდართული დოკუმენტაცია კონფიდენციალურობის დაცვით გადაეგზავნე მოპასუხე მხარედ მითითებულ სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს.

2026 წლის 4 სექტემბრის №3332 წერილით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ წარმოადგინა პოზიცია შპს „M-სერვისის“ მიერ 2026 წლის 20 აგვისტოს წარდგენილ საჩივარში (რეგ. №6296) დასმულ საკითხებთან დაკავშირებით.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო საკუთარ პოზიციაში ყურადღებას ამახვილებს 2025 წლის 12 ნოემბრის №1056-IVმს-XIმპ საქართველოს კანონით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებულ ცვლილებებზე. მოპასუხის განმარტებით, აღნიშნული ცვლილებების საფუძველზე, ცენტრალიზებული შესყიდვების განხორციელების მიზნით შეიქმნა სსიპ ცენტრალური შემსყიდველი ორგანო, რომელსაც 2026 წლის 1 ივნისიდან გადაეცა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარებასთან დაკავშირებული ფუნქციები და უფლებამოსილებები. ამასთან, ცენტრალური შემსყიდველი ორგანო აღნიშნული უფლებამოსილებების ფარგლებში ჩაითვალა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს უფლებამონაცვლედ.

მოპასუხე ასევე მიუთითებს, რომ 2026 წლის 1 ივნისამდე გამოცხადებულ ან ჩატარებულ კონსოლიდირებულ ტენდერებთან მიმართებით, საქართველოს კანონმდებლობით

განსაზღვრული გადაწყვეტილებების მიღების ან შესაბამისი ქმედებების განხორციელების საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნულ გადაწყვეტილებებს იღებს და ქმედებებს ახორციელებს სსიპ ცენტრალური შემსყიდველი ორგანო, კანონით ან/და მის შესაბამისად გამოცემული სამართლებრივი აქტით დადგენილი წესით.

შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს პოზიციით, განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების გათვალისწინებით, იგი, როგორც წარმოდგენილი საჩივრის მოპასუხე, საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, აღარ წარმოადგენს უფლებამოსილ პირს.

1.3. სსიპ ცენტრალური შემსყიდველი ორგანოს პოზიცია

როგორ ზევით უკვე აღინიშნა, მომჩივანი ერთ-ერთ მოპასუხე მხარედ უთითებს, აგრეთვე 2026-2027 წლების განმავლობაში სხვადასხვა სახის საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის სატენდერო კომისიას. სააგენტომ, კონსოლიდირებული ტენდერების ჩატარებასა და მართვასთან დაკავშირებით განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების გათვალისწინებით, (კერძოდ, 2025 წლის 12 ნოემბრის №1056-IVმს-XIმპ კანონით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე, რომლის თანახმადაც, 2026 წლის 1 ივნისიდან სსიპ ცენტრალური შემსყიდველი ორგანო განისაზღვრა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს უფლებამონაცვლედ ცენტრალიზებული შესყიდვების დეპარტამენტისთვის მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში, ხოლო კონსოლიდირებულ ტენდერებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისა და სასამართლო დავებში მოპასუხედ მონაწილეობის უფლებამოსილება მიენიჭა აღნიშნულ ორგანოს), 2026 წლის 21 აგვისტოს N02/5670 წერილით საჩივარი კონფიდენციალურობის დაცვით გადაუგზავნა სსიპ ცენტრალურ შემსყიდველ ორგანოს, როგორც კონსოლიდირებული ტენდერების ჩატარებაზე პასუხისმგებელ ორგანოს და სათანადო მოპასუხეს და მოსთხოვა საჩივარში დასმულ საკითხებთან დაკავშირებით საკუთარი პოზიციის წარმოდგენა.

სსიპ ცენტრალურმა შემსყიდველმა ორგანომ 2026 წლის 24 სექტემბრის №814 წერილით წარმოადგინა პოზიცია შპს „M-სერვისის“ 2026 წლის 20 აგვისტოს საჩივარში დასმულ საკითხებთან დაკავშირებით. სსიპ ცენტრალური შემსყიდველი ორგანო მიუთითებს, რომ 2025 წლის 12 ნოემბრის №1056-IVმს-XIმპ კანონით განხორციელებული ცვლილებების შედეგად იგი, ცენტრალიზებული შესყიდვების დეპარტამენტისთვის მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს უფლებამონაცვლედ განისაზღვრა. მოპასუხის მტკიცებით, კონსოლიდირებული ტენდერების შესაბამისი სატენდერო კომისია გადაწყვეტილებების მიღებისას

ხელმძღვანელობდა პროპორციულობის, მიზანშეწონილობისა და თანაზომიერების პრინციპებით, ხოლო კონსოლიდირებული ტენდერები განხორციელდა პოტენციური მიმწოდებლების მიმართ პროპორციული და არადისკრიმინაციული მიდგომის დაცვით.

მოპასუხე ცენტრალური შემსყიდველი ორგანო ყურადღებას ამახვილებს მომჩივანის პოზიციის ურთიერთსაწინააღმდეგო ხასიათზე. კერძოდ, მისი განმარტებით, ერთი მხრივ, მომჩივანი მიუთითებს, რომ ერთადერთი პროდუქტი, რომელიც კონსოლიდირებული ტენდერის მოთხოვნებს აკმაყოფილებს, არის პროდუქტი, რომლის დისტრიბუციასაც თავად ახორციელებს, ხოლო, მეორე მხრივ, ამტკიცებს, რომ სატენდერო პირობები ხელოვნურად შექმნილი ბარიერების მეშვეობით ერთ პირზე – შპს „პსპ-ფარმაზე“ იყო მორგებული. მოპასუხის შეფასებით, აღნიშნული მსჯელობა ურთიერთწინააღმდეგობრივია და მითითებული ფაქტობრივი გარემოებები ერთმანეთთან შეუსაბამოა.

სსიპ ცენტრალური შემსყიდველი ორგანო არ იზიარებს მომჩივანის პოზიციას, რომლის თანახმადაც გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ ფასების ცხრილის მე-4 პოზიციაზე შეთავაზებული „ლიდო C“ ვერ აკმაყოფილებდა სატენდერო მოთხოვნებს იმის გამო, რომ პროდუქცია არ ექვემდებარებოდა არც სავალდებულო და არც ნებაყოფლობით რეგისტრაციას. მოპასუხე მიუთითებს სატენდერო დოკუმენტაციის 2.7.1 პუნქტის მე-4 ქვეპუნქტზე და განმარტავს, რომ სატენდერო პირობები უშვებდა როგორც სავალდებულო, ისე არასავალდებულო რეგისტრაციის მქონე საქონლის შეთავაზებას. არასავალდებულო რეგისტრაციის მქონე საქონლის შეთავაზების შემთხვევაში განსაზღვრული იყო დამატებითი მოთხოვნები. შესაბამისად, მოპასუხის მტკიცებით, ორივე კატეგორიის საქონლის მიმწოდებელ სუბიექტებს შეეძლოთ ტენდერში მონაწილეობა.

მოპასუხე ასევე აღნიშნავს, რომ CON260000078 კონსოლიდირებული ტენდერი მოიცავდა 10 სხვადასხვა დასახელების შესყიდვის ობიექტს, ხოლო მომჩივანი სადავოდ ხდის მხოლოდ სატენდერო დოკუმენტაციის 1.2 პუნქტის №1 დანართის მე-4 პოზიციაზე მითითებულ შესყიდვის ობიექტს, მიუხედავად ამისა, ითხოვს მთლიანად ტენდერის ფარგლებში მიღებული ოქმების ბათილად ცნობას. ცენტრალური შემსყიდველი ორგანოს პოზიციით, მომჩივანი ვერ უთითებს შესაბამის მტკიცებულებებზე, რომლებიც მის მიერ სადავოდ დასახელებულ გარემოებებს დაადასტურებდა და, შესაბამისად, არ არსებობს ოქმების ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი.

მოპასუხის განმარტებით, მომჩივანი ასევე ვერ ასაბუთებს, სადავო სატენდერო პირობების შეცვლის შემთხვევაში მისთვის რა სამართლებრივი შედეგის მიღწევა გახდებოდა შესაძლებელი, რაც არსებული პირობების ფარგლებში შეუძლებელი იყო. ამასთან, შპს „M-სერვისი“ ვერ ასახელებს მისთვის შემზღუდველ კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებას, რომელიც ხელს უშლიდა კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობას, გარდა შესყიდვის სავარაუდო ღირებულებისა. ამ საკითხთან დაკავშირებით მომჩივანი

მიუთითებს, რომ პროდუქტის საბაზრო ფასი ტენდერში გამოცხადებულ ფასს 40-50%-ით აღემატებოდა. მოპასუხის შეფასებით, აღნიშნული გარემოება ვერ ადასტურებს სატენდერო პირობებით კონკურენციის შეზღუდვას და, პირიქით, დადგენილი პირობები ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, მათ შორის მომჩივანს, აძლევდა ტენდერში მონაწილეობის შესაძლებლობას.

მოპასუხე არ იზიარებს აგრეთვე მომჩივანის პოზიციას CPV კოდის – 33600000 („ფარმაცევტული პროდუქტები“) – არასწორად განსაზღვრასთან დაკავშირებით. მისი განმარტებით, CPV კოდი სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისთვის გამოსაყენებელი ერთიანი ნომენკლატურაა და კონკრეტული პროდუქტის „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ კატეგორიაში მოქცევა თავისთავად არ განსაზღვრავს მის CPV კლასიფიკაციას. მოპასუხის პოზიციით, შესაფასებელია, რამდენად შეესაბამება შერჩეული CPV კოდი შესყიდვის მთლიან ობიექტს და გამოიწვია თუ არა მისმა გამოყენებამ კონკურენტული წრის შეზღუდვა, რაც მოცემულ შემთხვევაში მომჩივანს არ დაუდასტურებია. ამასთან, მითითებული CPV კოდი გამოიყენებოდა ტენდერის ფარგლებში შესასყიდი 10 სხვადასხვა დასახელების ფარმაკო-თერაპიული ჯგუფის პროდუქტის აღსაწერად.

რაც შეეხება მომჩივანის მიერ მითითებულ წინა წლებში ჩატარებულ კონსოლიდირებულ ტენდერებს – CON200000391, CON200000179, CON200000328 და CON210000359 – მოპასუხე აღნიშნავს, რომ CON210000359 ტენდერის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებები მომჩივანს უკვე გასაჩივრებული ჰქონდა სასამართლოში (საქმე №3/4602-21) და მისი სარჩელი საქალაქო სასამართლომ დაუშვებლად ცნო. შესაბამისად, მოპასუხის პოზიციით, ძველი კონსოლიდირებული ტენდერების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებების მიმდინარე საქმესთან დაკავშირება არარელევანტურია და მათი კანონიერება მიმდინარე წარმოების დამოუკიდებელ საგანს არ წარმოადგენს. იმ შემთხვევაში კი, თუ მომჩივანი აღნიშნულ გარემოებებს სავარაუდო სისტემური პრაქტიკის დასადასტურებლად იყენებს, თითოეული მათგანის მტკიცებულებითი მნიშვნელობა ინდივიდუალურად უნდა შეფასდეს.

2. ნორმატიული რეგულირება

2.1 კონკურენციის კანონმდებლობა

2.1.1 მატერიალური ნაწილი

საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის შესაბამისად, „სახელმწიფო ზრუნავს თავისუფალი და ღია ეკონომიკის, თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებაზე“. კანონის პირველი მუხლით, კანონის რეგულირების სფეროდ

განისაზღვრება თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვისაგან დაცვის პრინციპების დადგენა, რაც, თავის მხრივ, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენტუნარიანი ბაზრის განვითარების საფუძველია. აღნიშნულის საფუძველზე, მე-2 მუხლით კონკრეტდება კანონის მიზანი: საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაციის, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობა.

კანონის მე-10 მუხლის მიხედვით სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების, მუნიციპალიტეტის ორგანოს და სხვა ადმინისტრაციულ ორგანოს ეკრძალება:

ა) კავშირის, ასოციაციის, გაერთიანების ან სხვა სახის სამეწარმეო სტრუქტურის შექმნა, თუ ეს იწვევს კონკურენციის შესუსტებას ან შეზღუდვას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

ბ) ეკონომიკური აგენტისთვის ისეთი შეღავათის დაწესება, რომელიც მას კონკურენტებთან ან პოტენციურ კონკურენტებთან შედარებით უპირატესობას ანიჭებს და ზღუდავს კონკურენციას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

გ) ეკონომიკური აგენტის ეკონომიკური საქმიანობის ან/და დამოუკიდებლობის აკრძალვა, შეჩერება ან სხვაგვარად შეფერხება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

დ) საქონლის წარმოების ან რეალიზაციის მონოპოლიზაციისთვის სახელმწიფო სტრუქტურის შექმნა ან არსებული სახელმწიფო სტრუქტურისთვის ისეთი უფლებამოსილების მინიჭება, რომელიც შეზღუდავს კონკურენციას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

ე) ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც ეკონომიკურ აგენტს დომინანტურ მდგომარეობას უქმნის, რაც არსებითად ზღუდავს თავისუფალ ფასწარმოქმნასა და კონკურენციას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2.1.2 პროცედურული ნაწილი

კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, სააგენტო უფლებამოსილია, სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების, მუნიციპალიტეტის ორგანოს, სხვა ადმინისტრაციულ ორგანოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოსთხოვოს კანონის შესაძლო

დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია; ხოლო, „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, კანონის დარღვევის შემთხვევაში, წარუდგინოს მას დასაბუთებული წერილობითი დასკვნა და შესაბამისი რეკომენდაცია ამ ორგანოს მიერ მიღებული კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების თაობაზე, მათ შორის, მოსთხოვოს კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების გაუქმება, ხოლო მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, აღნიშნული საკითხი დასვას შესაბამისი ზემდგომი ორგანოს ან თანამდებობის პირის წინაშე.

კანონის 22-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, სააგენტოში საჩივრის წარდგენის უფლება აქვს მომჩივანს, რომელიც მხარედ განიხილება. მან სააგენტოში საჩივართან ერთად უნდა წარადგინოს მტკიცებულებები და მასვე ეკისრება მტკიცების ტვირთი.

„საჩივრის ფორმის, მისი წარდგენის წესისა და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურისა და ვადების დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N38 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის (შემდგომში - “პროცედურა”) მე-7 მუხლის თანახმად, საჩივრის მატერიალურ დასაშვებობას და მის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყების მიზანშეწონილობას სააგენტო შეისწავლის საჩივრის სრულყოფილი სახით რეგისტრაციიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. საქმის სირთულიდან გამომდინარე, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 15 სამუშაო დღით.

საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის საფუძვლები გაწერილია კანონის 24-ე მუხლში, რომლის თანახმადაც სააგენტო უარს ამბობს საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებაზე, თუ:

ა) საჩივარი უფლებამოსილ პირს არ წარუდგენია;

ბ) არ არსებობს ამ კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძველი;

გ) ამ კანონის 23-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაცია ან/და მტკიცებულება განსაზღვრულ ვადაში არ არის წარდგენილი;

დ) მოპასუხე ეკონომიკური აგენტის მიმართ დაწყებულია გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

ე) საქმის მოკვლევის შედეგად სააგენტოს მიღებული აქვს გადაწყვეტილება იმავე მხარეებს შორის იმავე დავის საგანზე და არ არსებობს ახლად აღმოჩენილი გარემოება;

ვ) სააგენტოს მიღებული აქვს საჩივრის დასაშვებად ცნობაზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილება იმავე მხარეებს შორის იმავე დავის საგანზე და არ არსებობს ახლად

აღმოჩენილი გარემოება, გარდა ამ მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით საჩივრის დასაშვებად ცნობაზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილებისა;

ზ) სასამართლო წარმოებაშია საქმე, რომელიც ეხება დავას იმავე მხარეებს შორის, იმავე დავის საგანზე და იმავე საფუძვლით, ან არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება ან განჩინება იმავე დავის საგანზე მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის, მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობის ან მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ;

თ) საჩივრის დასაშვებობის საკითხის შესწავლისას სააგენტო თანხმობას განაცხადებს კანონის სავარაუდო დარღვევის აღმოფხვრის მიზნით განსახორციელებელი კონკრეტული ქმედების განხორციელების თაობაზე ეკონომიკური აგენტის მიერ შეთავაზებული პირობითი ვალდებულების მიღებაზე.

საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ სააგენტოს გადაწყვეტილება საჩივრდება კანონის 33[2] მუხლით დადგენილი წესით, თბილისის საქალაქო სასამართლოში.

2.2. სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობა საქართველოში

სახელმწიფო შესყიდვების პროცედურას არეგულირებს საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ”, რომლის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს, რომ ამ კანონით დადგენილი წესები ვრცელდება ყველა სახის სახელმწიფო შესყიდვაზე, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამავე კანონის მე-2 მუხლი მკაფიოდ განსაზღვრავს მის მიზნებს, კერძოდ:

ა) სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა;

ბ) სახელმწიფო საჭიროებისათვის აუცილებელი საქონლის წარმოების, მომსახურების გაწევისა და სამშენებლო სამუშაოს შესრულების სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარება;

გ) სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას შესყიდვების მონაწილეთა მიმართ პროპორციული, არადისკრიმინაციული მიდგომისა და თანასწორი მოპყრობის უზრუნველყოფა;

დ) სახელმწიფო შესყიდვების საჯაროობის უზრუნველყოფა;

ე) სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის შექმნა და მის მიმართ საზოგადოების ნდობის ჩამოყალიბება.

“სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, კანონის მოთხოვნათა დაცვისა და აღსრულების უფლებამოსილების მქონე ორგანოა ამ კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, ხოლო მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი განსაზღვრავს შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილებას, კანონითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესების დაცვით შეარჩიოს მიმწოდებელი და დადოს მასთან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება.

აღსანიშნავია, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ელექტრონული სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება კონკურსის, ელექტრონული ტენდერისა და კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით, ხოლო ამავე კანონის მე-13 მუხლი განსაზღვრავს, რომ შესყიდვის ობიექტის ტექნიკურ, შესრულების ან/და ფუნქციურ სპეციფიკაციებთან, აგრეთვე პრეტენდენტთა საკვალიფიკაციო მონაცემებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი წესით განსაზღვრავს შემსყიდველი ორგანიზაცია ყოველი კონკრეტული შესყიდვისათვის. აღნიშნული მოთხოვნები უნდა იყოს პროპორციული და არადისკრიმინაციული, ხელს უნდა უწყობდეს ჯანსაღი კონკურენციის დამკვიდრებას და პრეტენდენტთა მიმართ თანასწორ მოპყრობას.

როგორც უკვე აღინიშნა, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში 2025 წლის 12 ნოემბერს შეტანილი ცვლილებების თანახმად, 2026 წლის 1 ივნისიდან საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ცენტრალური შემსყიდველი ორგანო ჩაითვალა, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს უფლებამონაცვლედ მისი ცენტრალიზებული შესყიდვების დეპარტამენტისთვის მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში. ამასთან, 2026 წლის 1 ივნისიდან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გადაწყვეტილებების მიღების/ქმედებების განხორციელების საჭიროების არსებობის შემთხვევაში შესაბამის გადაწყვეტილებებს იღებს/ქმედებებს ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი ცენტრალური შემსყიდველი ორგანო ამ კანონით ან/და მის შესაბამისად გამოცემული სამართლებრივი აქტით დადგენილი წესით; *შესაბამისად, სასამართლოში წარდგენილ, კონსოლიდირებულ ტენდერებთან დაკავშირებულ სარჩელებთან მიმართებით მოპასუხეა საჯარო სამართლის იურიდიული პირი ცენტრალური შემსყიდველი ორგანო.*

რაც შეეხება კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების პროცედურებს, აღნიშნულს არეგულირებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 14 დეკემბრის 14 ბრძანებით დამტკიცებული „კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესი და პირობები“. ეს წესი მიზნად ისახავს კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარებასთან დაკავშირებული საქმიანობის რეგლამენტაციასა და მონიტორინგს. კერძოდ, აღნიშნული წესის მე-4 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი მიუთითებს, შესყიდვის მონაწილეთა შორის ჯანსაღი

კონკურენციის გარანტიას, როგორც კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების ერთ-ერთ მთავარ პრინციპს.

3. სამოტივაციო ნაწილი

3.1. ზოგადი მიმოხილვა

როგორც უკვე აღინიშნა, სააგენტო უფლებამოსილია, დაიწყოს საქმის მოკვლევა საჩივრის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით. კანონის სავარაუდო დარღვევის შესახებ საჩივრის მიღების შემდგომ სააგენტო კანონმდებლობით დადგენილ ვადებში ამოწმებს საჩივრის ფორმალურ და მატერიალურ შესაბამისობას კონკურენციის კანონმდებლობასთან. ფორმალური შესაბამისობის დადგენა გულისხმობს იმის შემოწმებას, რამდენად სრულყოფილად არის შევსებული/წარმოდგენილი საჩივარი, ხოლო მატერიალური დასაშვებობის ეტაპზე სააგენტო იკვლევს, არსებობს თუ არა საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის კანონმდებლობით განსაზღვრული საფუძვლები და წარმოიშობა თუ არა გონივრული ეჭვი სავარაუდო დარღვევის არსებობის თაობაზე. სააგენტო გადაწყვეტილებას საჩივრის დასაშვებად ცნობისა და საქმის მოკვლევის დაწყების ან საჩივრის დაუშვებლად ცნობისა და საქმის მოკვლევაზე უარის თქმის შესახებ იღებს ზემოთ აღნიშნული ფორმალური და მატერიალური დასაშვებობის სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებით საჩივრის ყოველმხრივი, კომპლექსური ანალიზის შედეგად. მატერიალური დასაშვებობის ეტაპზე სააგენტო მოკვლევის დაწყების საფუძვლის შემოწმების მიზნით უფლებამოსილია მომჩივნისგან/მოპასუხისგან გამოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტი. აღნიშნული ინფორმაციის დამუშავების შედეგად, საბოლოოდ, ფასდება მომჩივნის/მოპასუხის მიერ წარმოდგენილი საპირწონე არგუმენტები და მტკიცებულებები, ისევე როგორც საჯარო წყაროებიდან მოპოვებული საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა ნებისმიერი ინფორმაცია. საჭიროების შემთხვევაში, სააგენტოს, საქმის მოკვლევის დაწყების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტამდე, ასევე, შეუძლია გამოითხოვოს ინფორმაცია მესამე პირებისგან. აღნიშნული ღონისძიებების შედეგად თავმოყრილი ინფორმაციის კომპლექსური ანალიზის საფუძველზე კი სააგენტო ადგენს, აკმაყოფილებს თუ არა საჩივარი გონივრული ეჭვის სტანდარტს და აღნიშნულის შესაბამისად მიიღება გადაწყვეტილება საჩივრის დასაშვებობისა თუ დაუშვებლობის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობა არ შეიცავს გონივრული ეჭვის ცნების ლეგალურ დეფინიციას. დასაშვებობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში გონივრული ეჭვის განსაზღვრისას სააგენტო ხელმძღვანელობს ევროკომისიისა და ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული

საუკეთესო პრაქტიკით. ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების (შემდგომში - „TFEU“) 101-ე და 102-ე მუხლების შესაბამისად პროცედურების წარმართვის საუკეთესო პრაქტიკის შესახებ ევროკომისიის ნოტა განმარტავს, რომ კონკურენციის სამართლის ყველა საქმე, მიუხედავად მათი დაწყების საფუძვლებისა, გადის პირველადი შეფასების ფაზას. ამ სტადიაზე კომისია ამოწმებს, თუ რამდენად არის მიზანშეწონილი საქმეზე შემდგომი მოკვლევის განხორციელება.[1] ასევე, პრაქტიკაში, პირველადი შეფასებების სისტემა ნიშნავს, რომ ზოგიერთი საქმე წყდება წარმოების ძალიან ადრეულ ეტაპზე, რადგან ამ საქმეებზე შემდგომი მოკვლევისა თუ შესწავლის განხორციელება არ არის გონივრული. მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით, კომისია აღჭურვილია უფლებამოსილებით, ევროპული კავშირის სამართლით მისთვის დაკისრებული ვალდებულებების გათვალისწინებით, დამოუკიდებლად განსაზღვროს მის წინაშე არსებული საჩივრებიდან, რომელ შემთხვევაშია მიზანშეწონილი და გონივრული საქმეზე შემდგომი მოკვლევის გაგრძელება.

შპს “M-სერვისის“ საჩივარში საუბარია კანონის მე-10 მუხლის „ბ“, „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ სავარაუდო დარღვევაზე კერძოდ, ეკონომიკური აგენტისთვის კონკურენტებთან შედარებით გაუმართლებელი უპირატესობის მინიჭება, მისი ეკონომიკური საქმიანობის ან დამოუკიდებლობის შეზღუდვა ან შეფერხება, აგრეთვე ისეთი დომინანტური მდგომარეობის შექმნა, რომელიც არსებითად ზღუდავს თავისუფალ ფასწარმოქმნასა და კონკურენციას, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. შესაბამისად, საჩივრის დასაშვებად ცნობისა და მოკვლევის დაწყება/არდაწყების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად, საჭიროა მოცემულ მუხლთან მიმართებაში შეფასდეს არსებული პრეტენზიის დასაბუთებულობა და გონივრული ეჭვის წარმოშობის საკითხი, თუმცა მანამდე აუცილებელია სხვა ქვემოთგანხილულ წინაპირობებზე მსჯელობა.

3.2. კანონის მე-10 მუხლის სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებული სადავო გარემოებების ფარგლები

ყოველი კონკრეტული საჩივრის მატერიალური დასაშვეობის განხილვისას აუცილებელია დადგინდეს საჩივრის სადავო გარემოებებისა და მოთხოვნის ფარგლები. წარმოდგენილი საჩივრის ფარგლებში მომჩივანის მიერ მითითებული, კანონის **მე-10 მუხლის სავარაუდო დარღვევასთან მიმართებით სადავო გარემოებების ფარგლები მოიცავს:** 2026 წლის 26 იანვარს ფარმაცევტული პროდუქტის *comb. drug (Lidocaine, Chlorhexidine)* შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ კონსოლიდირებულ ტენდერში (CON260000078, შესყიდვის

[1] Commission notice on best practices for the conduct of proceedings concerning Articles 101 and 102 TFEU, ხელმისაწვდომია: https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=oj:JOC_2011_308_R_0006_01.

კატეგორია: 33600000-ფარმაცევტული პროდუქტები, შესყიდვის სავარაუდო ღირებულება:112`210.19 GEL) განსაზღვრულ მოთხოვნებს, მათი ჩამოყალიბებისა და გამოყენების გარემოებებს და აღნიშნული მოთხოვნების გავლენას ეკონომიკური აგენტების ტენდერში მონაწილეობის შესაძლებლობაზე. შესაბამისად, წარმოდგენილი საჩივრით მომჩივანი ითხოვს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „ბ“, „გ“ და „ე“ ქვეპუნქტების დარღვევის დადგენას, 2026 წლის კონსოლიდირებულ ტენდერთან დაკავშირებული სატენდერო კომისიის შესაბამისი გადაწყვეტილებების გაუქმებასა და სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთვის სამომავლო დარღვევების პრევენციის მიზნით სავალდებულო რეკომენდაციების გაცემას.

წარმოდგენილ საჩივარში მითითებული გარემოებების დასადასტურებლად, მომჩივანი ყურადღებას ამახვილებს 2020 წლიდან ჩატარებულ კონსოლიდირებულ ტენდერებსა და მათ ფარგლებში განსაზღვრულ სატენდერო პირობებზე. კერძოდ:

1. **2020 წლის 17 დეკემბრის ტენდერი — CON200000391 —** გამოცხადდა იმავე ტიპის ფარმაცევტული პროდუქტის შესყიდვაზე. დოკუმენტაციით გათვალისწინებული იყო პროდუქტის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრაციის მოთხოვნა. წარმოდგენილი მასალების მიხედვით, ერთადერთი პრეტენდენტის შპს „პსპ ფარმას“ მიერ შეთავაზებული პროდუქტი „ლუბრაგელი“ რეგისტრირებული არ იყო, რის გამოც პრეტენდენტი დისკვალიფიცირდა. ტენდერი დასრულდა უარყოფითი შედეგით.

2. **2021 წლის 19 მარტის ტენდერი — CON20000179 —** გამოცხადდა იმავე შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებით; ტენდერი არ შედგა.
3. **2021 წლის 13 მაისის ტენდერი — CON20000328 —** სატენდერო პირობებით კვლავ განისაზღვრა პროდუქტის რეგისტრაციისა და შესაბამისობის მოთხოვნები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების შედეგად შპს „პსპ ფარმას“ მიერ შეთავაზებული „ლუბრაგელის“ შესაბამისობა მოთხოვნებთან სადავო გახდა და ტენდერი დასრულდა უარყოფითი შედეგით/პრეტენდენტის დისკვალიფიკაციით.
4. **2021 წლის 29 ივნისის ტენდერი — CON210000359** — გამოცხადდა comb. drug (Lidocaine, Chlorhexidine)-ის შესყიდვაზე. გამარჯვებულად გამოვლინდა ერთადერთი პრედენტენტი - შპს „პსპ ფარმა“.
5. **2021 წლის 17 დეკემბრის ტენდერი — CON210000639 —** იმავე ფარმაცევტული პროდუქტის შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერში კვლავ მოქმედებდა პროდუქტის შესაბამისობის, რეგისტრაციისა და ფარმაკოპეის სტანდარტებთან შესაბამისობის მოთხოვნები. გამარჯვებულად გამოვლინდა ერთადერთი პრედენტენტი - შპს „პსპ ფარმა“.
6. **2023 წლის 27 მარტის კონსოლიდირებული ტენდერი — CON230000207** — გამოცხადდა სხვადასხვა დასახელების ფარმაცევტული პროდუქტის, მათ შორის

comb. drug (Lidocaine, Chlorhexidine)-ის შესყიდვის მიზნით. ტენდერში გამარჯვებულად გამოვლიდან სს „გეფა“.

დასაშვებობის ეტაპზე, გონივრული ეჭვის სტანდარტის შეფასების მიზნით, სააგენტო განიხილავს 2026 წლის კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში განსაზღვრულ სატენდერო პირობებსა და მათი გამოყენების გარემოებებს, მათ შორის, ტენდერში შესაბამისი ფარმაცევტული პროდუქტის დაშვებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

3.3. მოპასუხე მხარეები, როგორც კანონის მე-10 მუხლის ადრესატები

მომჩივანი შპს „M-სერვისი“ საჩივარში მოპასუხე მხარედ უთითებს სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსა და 2026-2027 წლების განმავლობაში სხვადასხვა სახის საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის სატენდერო კომისიას.

კანონის მე-10 მუხლის სპეციალურ სუბიექტებს წარმოადგენენ სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების, მუნიციპალიტეტის და სხვა ადმინისტრაციული ორგანო. შესაბამისად, მოპასუხე ჩაითვლება ამ მუხლის სუბიექტად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი წარმოადგენს დასახელებული ორგანოებიდან ერთ-ერთს. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს „ყველა სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის ორგანო/დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე, ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს“.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ამ კანონის მოთხოვნათა დაცვასა და შესრულებაზე უფლებამოსილი ორგანოა ამ კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს და იგი მიიჩნევა კანონის მე-10 მუხლის სუბიექტად.

რაც შეეხება მეორე მოპასუხედ მითითებულ კონსოლიდირებული ტენდერების სატენდერო კომისიას, როგორ უკვე აღინიშნა, 2025 წლის 12 ნოემბრის №1056-IVმს-XIმპ კანონით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელდა ცვლილებები, რომლითაც ცენტრალიზებული შესყიდვების განხორციელების მიზნით შეიქმნა სსიპ ცენტრალური შემსყიდველი ორგანო. აღნიშნული კანონის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, 2026 წლის 1 ივნისიდან სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარებასთან დაკავშირებული

ფუნქციები და უფლებამოსილებები გადაეცა სსიპ ცენტრალურ შემსყიდველ ორგანოს, რომელიც ჩაითვალა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს უფლებამონაცვლედ მისი ცენტრალიზებული შესყიდვების დეპარტამენტისთვის მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში (აღნიშნული გარემოებას დაადასტურა თავად შესყიდვების სააგენტომ[2] და ცენტრალურმა შემსყიდველმა ორგანომ[3]). ამავე მუხლის მე-4 პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, 2026 წლის 1 ივნისამდე გამოცხადებულ/ჩატარებულ კონსოლიდირებულ ტენდერებთან მიმართებით, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გადაწყვეტილებების მიღების ან ქმედებების განხორციელების საჭიროების არსებობის შემთხვევაში, შესაბამის გადაწყვეტილებებს იღებს და შესაბამის ქმედებებს ახორციელებს სსიპ ცენტრალური შემსყიდველი ორგანო კანონით ან/და მის შესაბამისად გამოცემული სამართლებრივი აქტით დადგენილი წესით.

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 29 მაისი № 236 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ცენტრალური შემსყიდველი ორგანოს დებულებისა და სტრუქტურის“ პირველი მუხლის შესაბამისად, ცენტრალური შემსყიდველი ორგანო არის დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს საქართველოში „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ, ცენტრალიზებულ შესყიდვებთან დაკავშირებულ საქმიანობას. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სსიპ ცენტრალური შემსყიდველი ორგანოც ახორციელებს საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებებს და წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, შესაბამისად, მიჩნეულ უნდა იქნეს კანონის მე-10 მუხლთან დაკავშირებული საჩივრის სათანადო მოპასუხე სუბიექტად კონსოლიდირებული ტენდერების სატენდერო კომისიის ნაწილში.

3.4. დავის არსებობა სასამართლო წარმოებაში

სააგენტო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ თავად მომჩივანი საჩივარში უთითებს, რომ მხარეებს შორის მიმდინარეობს ადმინისტრაციული დავა თბილისის საქალაქო სასამართლოში, საქმე №3/1483-25, სადაც საჩივრის ავტორი წარმოადგენს მოსარჩელეს და მის მიერ მოთხოვნილია: სატენდერო კომისიის 2026 წლის 26 იანვრის, 11 და 17 თებერვლის სხდომების ოქმების ბათილად ცნობა, აგრეთვე საქართველოს მთავრობისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთვის სატენდერო კომისიის ხელახლა შექმნა და ფარმაცევტული პროდუქტების 2026–2027 წლების კონსოლიდირებული ტენდერის კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით ხელახლა ჩატარების დავალდებულება.

[2] სსიპსახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2026 წლის 4 სექტემბრის წერილი № 3332

[3] სსიპ ცენტრალურ შემსყიდველ ორგანოს 2026 წლის 24 სექტემბრის წერილი № 814

ამასთან, მხარემ საჩივრის დანართის სახით წარმოადგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2026 წლის 2 მარტის განჩინება სარჩჩელის წარმოებაში მიღების შესახებ, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს დავის არსებობას.

კანონის 24-ე მუხლის ,,ზ“ პუნქტის შესაბამისად, სააგენტო უარს ამბობს საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებაზე, თუ სასამართლო წარმოებაშია დავა იმავე მხარეებს შორის იმავე დავის საგანზე ან იმავე დავის საგანზე სასამართლოს მიღებული აქვს განჩინება ან სხვა გადაწყვეტილება მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის, მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობის ან მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ. განსახილველი საჩივრის ფარგლებში, სააგენტო მიზანშეწონილად მიიჩნევს აღნიშნული ნორმის განმარტებას დასაშვებობის საკითხის გადასაწყვეტად. კერძოდ, მოცემული ნორმის გამოყენების წინაპირობებია:

1. დავა იმავე მხარეებს შორის;
2. დავის საგნის იდენტურობა.
3. დავის საფუძვლის იდენტურობა

შესაბამისად, სააგენტოში საჩივრის დასაშვებობის მიზნებისათვის უნდა შეფასდეს აღნიშნული სამი ელემენტის არსებობა.

3.4.1. დავის მხარეების იდენტურობა

მომჩივანი “M სერვისი“ 2026 წლის 20 აგვისტოს სააგენტოში წარმოდგენილ საჩივარში მოპასუხე მხარეებად უთითებს - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსა და 2026-2027 წლების განმავლობაში სხვადასხვა სახის საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის სატენდერო კომისიას. ამავდროულად, 2026 წლის 25 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში წარდგენილ საჩივარში მოპასუხეებად უთითებს - 2026-2027 წლების განმავლობაში სხვადასხვა სახის საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის სატენდერო კომისიას, სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსა და საქართველოს მთავრობას.

აქედან გამომდინარე, ***სააგენტოში მიმდინარე საჩივრის დასაშვებობის ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მოპასუხე მხარეების იდენტურობა სასამართლოში მიმდინარე სასარჩელო დავასთან თანაკვეთაში გამოიკვეთა - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსა და 2026-2027 წლების განმავლობაში სხვადასხვა სახის საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის სატენდერო კომისიის მიმართ.***

როგორც უკვე აღინიშნა, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში 2025 წლის 12 ნოემბრის ცვლილების შედეგად 2026 წლის 1 ივნისიდან საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ცენტრალური შემსყიდველი ორგანო ჩაითვალა საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს უფლებამონაცვლედ მისი ცენტრალიზებული შესყიდვების დეპარტამენტისთვის მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, 2026 წლის 1 ივნისიდან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გადაწყვეტილებების მიღების/ქმედებების განხორციელების საჭიროების არსებობის შემთხვევაში შესაბამის გადაწყვეტილებებს იღებს/ქმედებებს ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი ცენტრალური შემსყიდველი ორგანო ამ კანონით ან/და მის შესაბამისად გამოცემული სამართლებრივი აქტით დადგენილი წესით; ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სასამართლოში წარდგენილ, კონსოლიდირებულ ტენდერებთან დაკავშირებულ სარჩელებთან მიმართებით სათანადო მოპასუხეა საჯარო სამართლის იურიდიული პირი ცენტრალური შემსყიდველი ორგანო.

აქედან გამომდინარე, ***სააგენტოსა და სასამართლოს შემთხვევაშიც მოპასუხე მხარეების იდენტურობა გამოიკვეთა სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსა და ასევე, სსიპ – ცენტრალური შემსყიდველი ორგანოსთან მიმართებით, როგორც სათანადო მოპასუხის მიმართ, რაც სააგენტოში დასაშვებობის ეტაპზე გასანხილველ საჩივართან მიმართებით ადასტურებს დავის მხარეების იდენტურობას.***

3.4.2. დავის საგნის იდენტურობა

შპს “M სერვისის” მიერ ინიცირებულ თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე ადმინისტრაციულ საქმეში №3/1483-25, დავის საგანს წარმოადგენს:

1. ბათილად იქნეს ცნობილი 2026-2027 წლების განმავლობაში სხვადასხვა სახის საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის სატენდერო კომისიის 2026 წლის 26 იანვრის სხდომის ოქმი №1575-ლ-02;

2. ბათილად იქნეს ცნობილი 2026-2027 წლების განმავლობაში სხვადასხვა სახის საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის სატენდერო კომისიის 2026 წლის 11 თებერვლის სხდომის ოქმი №ლ-CON078-2;

3. ბათილად იქნეს ცნობილი 2026-2027 წლების განმავლობაში სხვადასხვა სახის საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული

ტენდერ(ებ)ის სატენდერო კომისიის 2026 წლის 17 თებერვლის სხდომის ოქმი №ლ-CON078-3;

4. დაევალოს საქართველოს მთავრობას ხელახლა შექმნას ფარმაცევტული პროდუქტების 2026-27 წლის კონსოლიდირებული ტენდერების სატენდერო კომისია და უზრუნველყოს 2026-2027 წლისთვის ფარმაცევტული პროდუქტების ხელახალი კონსოლიდირებული ტენდერი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის დაცვით.

5. დაევალოს სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ჩაატაროს ფარმაცევტული პროდუქტების 2026-2027 წლის ხელახალი კონსოლიდირებული ტენდერი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით.

ამავე ეკონომიკური აგენტის მიერ სააგენტოში წარმოდგენილი საჩივრის ფარგლებში დავის საგანს წარმოადგენს:

1. დადგენილ იქნეს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის დარღვევა;
2. დადგენილ იქნეს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის დარღვევა;
3. დადგენილ იქნეს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის დარღვევა;
4. გაუქმებულ იქნეს 2026-2027 წლების განმავლობაში სხვადასხვა სახის საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის სატენდერო კომისიის 2026 წლის 26 იანვრის სხდომის ოქმი №1575-ლ-02;
5. გაუქმებულ იქნეს 2026-2027 წლების განავლობაში სხვადასხვა სახის საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის სატენდერო კომისიის 2026 წლის 11 თებერვლის სხდომის ოქმი №ლ-CON078-2;
6. გაუქმებულ იქნეს 2026-2027 წლების განმავლობაში სხვადასხვა სახის საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის სატენდერო კომისიის 2026 წლის 17 თებერვლის სხდომის ოქმი №ლ-CON078-3;
7. გაიცეს სავალდებულოდ შესასრულებელი რეკომენდაციები სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიმართ სამომავლო დარღვევების პრევენციისათვის.

მომჩივნის მიერ როგორც სააგენტოში, ასევე სასამართლოში დავის საგანი შეეხება - 2026 წლის 26 იანვრის CON260000078 კონსოლიდირებულ ტენდერს და სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის სატენდერო კომისიის სხდომის ოქმებს: №1575-ლ-02 (26.01.2026); №ლ-CON078-2 (11.02.2026); №ლ-CON078-3 (17.02.2026). *მომჩივანი*

სასამართლოში ითხოვს აღნიშნული ოქმების გათილოგას, ასევე სააგენტოში, მათ გაუქმებას.

აღსანიშნავია, რომ კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სააგენტო სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების, მუნიციპალიტეტის ორგანოსთან ან სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან მიმართებით უფლებამოსილია, კანონის დარღვევის შემთხვევაში აღნიშნულ ორგანოს წარუდგინოს დასაბუთებული გადაწყვეტილება და შესაბამისი რეკომენდაცია ამ ორგანოს მიერ მიღებული კანონის საწინააღმდეგო გადაწყვეტილების ან განხორციელებული კანონის საწინააღმდეგო ქმედების თაობაზე, მათ შორის, მოსთხოვოს ამ გადაწყვეტილების გაუქმება ან ქმედების აკრძალვა, ხოლო აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში შესაბამისი საკითხი განსახილველად დასვას ზემდგომი ორგანოს ან თანამდებობის პირის წინაშე; შესაბამისად, სააგენტოს შეუძლია დასვას საკითხი/მოსთხოვოს ადმინისტრაციულ ორგანოს გადაწყვეტილების/აქტის გაუქმება, თუმცა მის უფლებამოსილებას სცილდება საკითხი თავად გააუქმოს/გააბათილოს კონკრეტული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რამეთუ სზაკ-ის 60[1]-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ბათილად ცნობს მისი გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო, ხოლო საჩივრის ან სარჩელის შემთხვევაში – ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო ან სასამართლო.

აღსანიშნავია, რომ მომჩივნის მიერ ასევე, მითითებულია სავალდებულოდ შესასრულებელი რეკომენდაციების გაცემის მოთხოვნა სამომავლო დარღვევების პრევენციისათვის. სააგენტო მიუთითებს, რომ თავად რეკომენდაციების გაცემა, მოკვლევის ფარგლებში და როგორც წესი, კანონის დარღვევის აღმოფხვრისკენ მიმართული ერთ-ერთი მექანიზმია კანონის მე-18 მუხლის, მე-2 პუნქტის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტების საფუძველზე, რაც იმას ნიშნავს, რომ სააგენტოს აღნიშნულზე მსჯელობა მხოლოდ მაშინ შეუძლია თუ ის მატერიალურ შეფასებაზე გადავა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „ბ“, „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებთან მიმართებით ან/და დაადასტურებდა შესაბამის კანონდარღვევას.

შესაბამისად, თავად რეკომენდაციის გაცემა ვერ იქნება დამოუკიდებელი, განცალკევებული მოთხოვნა, არამედ ის განხილულ უნდა იქნეს კანონის მე-10 მუხლის საფუძველზე მოკვლევის დაწყების შემთხვევაში, ხოლო მოკვლევის დაწყება-არდაწყებაზე გადაწყვეტილების მიღება დამოკიდებულია იმაზე, განისაზღვროს სასამართლოში მიმდინარე დავისა და სააგენტოში კანონის მე-10 მუხლის საფუძველზე წამოწყებული ადმინისტრაციული წარმოების იდენტურობა, მათ შორის, დავის საფუძვლის იდენტურობის გათვალისწინებით.

3.4.3. დავის საფუძვლის იდენტურობა

3.4.3.1. მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძველი

მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძველი გულისხმობს, რომ მომჩივნის მიერ წამოყენებული მოთხოვნები გარკვეულ ფაქტობრივ გარემოებათა ერთობლიობას ემყარება. შესაბამისად, მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძველი მოიცავს იმ ფაქტებსა და გარემოებებს, საიდანაც გამომდინარეობს შესაბამისი მოთხოვნის შინაარსი/საგანი. სააგენტოში წარმოდგენილი საჩივრისა და მომჩივანის მიერ სასამართლო ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის წარმოებაში არსებული სარჩელის ურთიერთშედარების შედეგად დგინდება, რომ **განსახილველი დავის ფაქტობრივი საფუძველი არსებითად იდენტურია**. კერძოდ, მომჩივანი სარჩელის დაკმაყოფილების საფუძვლად ასახელებს იმავე ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც მითითებულია სააგენტოში წარმოდგენილ საჩივარში. კერძოდ, *ორივე შემთხვევაში ფაქტობრივ გარემოებას წარმოადგენს 2026 წლის 26 იანვარს გამოცხადებული კონსოლიდირებული ტენდერი (CON260000078) და მასთან დაკავშირებული სატენდერო პირობები და პროცედურები, მათ შორის, შესაბამისი ფარმაცევტული პროდუქტის ტენდერში დაშვებასთან დაკავშირებული გარემოებები.*

3.4.3.2. მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი არის სამართლის ნორმა, რომლის სამართლებრივი შედეგით გათვალისწინებულია სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილე პირის მიერ რაიმე მოქმედების განხორციელებისა თუ მოქმედების შესრულებისაგან თავის შეკავების ვალდებულება. თითოეული მოთხოვნის დამფუძნებელი სამართლის ნორმა განსაზღვრავს მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს, თუმცა მისი განმარტება და ფაქტობრივ გარემოებებზე მისადაგება სასამართლოს უფლებამოსილებაა. მოთხოვნის საფუძველი ორი ნაწილისაგან შედგება: ა) ნორმის შემადგენლობა, რომელიც მოიცავს ცალკეულ წინაპირობას და ბ) სამართლებრივი შედეგი, რომელიც კანონის საფუძველზე დადგება იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა ნორმის შემადგენლობით განსაზღვრული ყველა წინაპირობა.[4]

მოთხოვნის საფუძვლის (საფუძვლების) ძიებისას, სასამართლოსათვის ამოსავალია ის კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას. სწორედ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები და გარემოებები განსაზღვრავენ სარჩელის მოთხოვნის შინაარსს. სასამართლომ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, უნდა

[4] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 30 ივნისის განჩინება საქმე №ას-313-2021, პუნქტი 32.

გაარკვიოს, თუ საიდან გამომდინარეობს მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი.[5]

ა) კონკურენციის უზრუნველყოფის პრინციპი სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობაში

სახელმწიფო შესყიდვების პროცესში (მათ შორის კონსოლიდირებული შესყიდვის განხორციელებისას) შემსყიდველი ორგანიზაციის ვალდებულება, რომ მან ჯანსაღი კონკურენცია უზრუნველყოს, გამომდინარეობს არა მხოლოდ კონკურენციის, არამედ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობიდანაც.

კერძოდ, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი მიზნად ისახავს სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფას, სახელმწიფო საჭიროებისათვის აუცილებელი საქონლის წარმოების, მომსახურების გაწევისა და სამშენებლო სამუშაოს შესრულების სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარებას, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას შესყიდვების მონაწილეთა მიმართ სამართლიანი და არადისკრიმინაციული მიდგომისა და სახელმწიფო შესყიდვების საჯაროობის უზრუნველყოფას, სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის შექმნასა და მის მიმართ საზოგადოების ნდობის ჩამოყალიბებას. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის თანახმად, შემსყიდველი ორგანიზაცია ყოველი კონკრეტული შესყიდვისთვის განსაზღვრავს მოთხოვნებს, რომლებსაც შესყიდვაში მონაწილეობის მისაღებად უნდა აკმაყოფილებდეს პრეტენდენტთა საკვალიფიკაციო მონაცემები. საკვალიფიკაციო მონაცემთა შერჩევის წესი დგინდება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით. საკვალიფიკაციო მონაცემებისთვის წაყენებული მოთხოვნები უნდა იყოს სამართლიანი და არადისკრიმინაციული და ხელს უნდა უწყობდეს ჯანსაღი კონკურენციის დამკვიდრებას. ამავე კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, შესყიდვის პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო ახორციელებს მონიტორინგს შესყიდვის პროცესში ისეთი პრინციპების დაცვაზე, როგორიცაა საჯაროობა, სამართლიანობა და არადისკრიმინაციულობა, დადგენილი პროცედურების ზუსტად შესრულება და ანგარიშგება, ღია და ეფექტიანი კონკურენციის უზრუნველყოფა, რაციონალური და თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 14 დეკემბრის №14 ბრძანების მე-4 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, შესყიდვის მონაწილეთა შორის *ჯანსაღი კონკურენცია კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების ერთ-ერთი მთავარი პრინციპია.*

[5] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 23 ივლისის განჩინება საქმე №ას-124-116-2017, პუნქტი 22

როგორც ზემოთ აღინიშნა, ,,სახელმწიფო შესყიდვების“ შესახებ საქართველოს კანონის ერთ-ერთი მიზანი სახელმწიფო საჭიროებისათვის აუცილებელი საქონლის წარმოების, მომსახურების გაწევის სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარებაა. ჯანსაღ კონკურენციას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ეკონომიკისთვის, ის არის საბაზრო ურთიერთობების ძირითადი შემადგენელი ელემენტი და წარმოადგენს ბაზრის სიმბოლოს, რომლის გარეშეც შეუძლებელია საბაზრო მეურნეობის საფუძვლების დაცვა, თავისუფალი ეკონომიკური არჩევანის პრინციპების განხორციელება, ცალკეული პერიოდისთვის სასაქონლო ბაზრებზე მოთხოვნა-მიწოდების დაბალანსება და მომხმარებლისთვის მისაღები ფასის ფორმირება.[6] შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების სისტემის არსებობის ერთ-ერთ მთავარ მიზნად დასახელებულია კონკურენციის ხელშეწყობა.[7] რაც შეეხება ,,სახელმწიფო შესყიდვების“ შესახებ საქართველოს კანონის მე-13 მუხლს - აღნიშნული მუხლი ფართო დისკრეციას ანიჭებს შემსყიდველს საკვალიფიკაციო მოთხოვნების დადგენისას. კერძოდ, შემსყიდველი თავად ადგენს მოთხოვნებს ყოველი კონკრეტული შესყიდვისთვის, თუმცა მე-13 მუხლის პირველი პუნქტი შემსყიდველს უდგენს როგორც სამართლიანი და არადისკრიმინაციული მოთხოვნების შემუშავების, აგრეთვე საკუთარი სატენდერო პირობებით ბაზარზე ჯანსაღი კონკურენციის დამკვიდრების ვალდებულებას.[8] ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის ძირითადი მიზანია შემსყიდველი ორგანიზაციების ქმედებების რეგულირება, მათ შორის ჯანსაღი კონკურენციის უზრუნველყოფის კონტექსტში, მაშინ როდესაც ,,კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის ფარგლებში ყურადღება უნდა მიექცეს შემსყიდველი ორგანიზაციების ქმედებებისა და გადაწყვეტილებების ისეთ რეგულირებას, რომლებიც იწვევს ან/და რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს საქართველოს სასაქონლო და მომსახურების ბაზრებზე თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა და აღკვეთა, რაც კონკურენციის მხოლოდ ერთ-ერთი მიზანია. ***სააგენტო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ზემოთ დასახელებული ნორმატიული აქტების მოქმედების სფეროები ერთმანეთთან იკვეთება სახელმწიფო შესყიდვის ფარგლებში შემსყიდველი ორგანიზაციებისათვის კანონმდებლობით დაკისრებული იმ ვალდებულების ნაწილში, რომელიც ჯანსაღი კონკურენციის განვითარებას მოიაზრებს. სააგენტო დამატებით მიუთითებს, რომ სახელმწიფო შესყიდვის პროცედურის ფარგლებში, ჯანსაღი კონკურენციის განვითარება არ არის მხოლოდ კანონმდებლობით გათვალისწინებული***

[6] ჯანსაღი კონკურენციის განვითარების, როგორც სახელმწიფო შესყიდვების ერთ-ერთი მიზნის შესახებ დეტალურად იხ., ხიზანიშვილი ა., სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკა თანამედროვე გამოწვევების წინაშე, თბილისი, 2019, გვ. 10.

[7] იქვე, გვ.11.

[8] აღნიშნული მუხლისა და ,,კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მიმართების შესახებ იხ., სააგენტოს 2016 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილება - „დაზღვევის საქმე N 1“, გვ. 77.

მოთხოვნა, არამედ ეს კომპონენტი მოცემულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ შემუშავებული რეკომენდაციებითაც.[9]

ბ) საერთო სასამართლოებისა და ადმინისტრაციული ორგანოების კომპეტენციათა გამიჯვნა

სააგენტო დამატებით აღნიშნავს, რომ კანონის 28-მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, პირს უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს ამ კანონის დარღვევის თაობაზე სააგენტოსათვის მიმართვის გარეშე. აღნიშნული ნორმის მიხედვით, აშკარაა, კანონის დარღვევის საკითხის შეფასების კომპეტენცია ალტერნატიულად აქვს როგორც სააგენტოს, ასევე, სასამართლოს. პირს, რომელიც თვლის, რომ დაირღვა კონკურენციის კანონმდებლობის, უფლება აქვს თავად განსაზღვროს საკუთარი უფლების დაცვის სამართლებრივი გზა - მიმართოს სააგენტოს მოკვლევის დაწყებასთან დაკავშირებით, თუ მიმართოს პირდაპირ სასამართლოს, სააგენტოში საჩივრის წარდგენის გარეშე. სააგენტო ყურადღებას ამახვილებს ასევე იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტში განმტკიცებულია დემოკრატიული სახელმწიფოს უმთავრესი პრინციპი - ხელისუფლების დანაწილების პრინციპი და დადგენილია, რომ სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით. ამასთან, კონსტიტუცია აღიარებს ხელისუფლების სამ შტოს: საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას და განსაზღვრავს მათ უფლებამოსილებებს.

საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილია, რომ სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია და მას ახორციელებენ საქართველოს საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოები. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-4 მუხლის თანახმად კი, სასამართლოს აქტი სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისათვის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსთვის, სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმება, შეცვლა ან შეჩერება შეუძლია მხოლოდ სასამართლოს კანონით განსაზღვრული წესით, სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა ან მისი შესრულებისთვის ხელის შეშლა იწვევს კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო არ განიხილავს ადმინისტრაციულ საჩივარს, თუ სასამართლო წარმოებაშია საქმე დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით.

---

[9] მაგ: სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციები ელექტრონული ტენდერის ჩატარებისას ბაზრის კვლევის განხორციელებასთან დაკავშირებით, გვ. 3; მეთოდური მითითებები სახელმწიფო შესყიდვებში სტანდარტების გამოყენებასთან დაკავშირებით - გვ.1; სახელმწიფო შესყიდვები: მეთოდური მითითებები შესყიდვის წინამოსამზადებელი ეტაპისათვის, გვ. 15-16;

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მხედველობაშია მისაღები სასამართლოს პრაქტიკაც. კერძოდ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის მე-4 ნაწილთან დაკავშირებით,[10] უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ „აღნიშნული დათქმით კანონმდებელი მკვეთრად უსვამს ხაზს დემოკრატიული სახელმწიფოს უმთავრეს პრინციპს - ხელისუფლების დანაწილების თაობაზე. სასამართლო ხელისუფლება, როგორც კონსტიტუციური ფუნქციის განმახორციელებელი მართლმსაჯულების ორგანო, გარანტირებულია სრული ავტონომიით და ჩაურევლობის პრინციპით. ადმინისტრაციული სამართალი ადგენს მმართველობის კანონიერების უზრუნველმყოფ ნორმებს, წესებს, პროცედურებსა და მექანიზმებს, ხოლო მმართველობით სფეროში მიღებულ გადაწყვეტილებათა კანონიერებაზე კონტროლი სასამართლო ხელისუფლების ფუნქციას წარმოადგენს“.[11]

მოცემულ შემთხვევაში, *სააგენტო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მომჩივანმა სააგენტოში საჩივრის (რეგ: № 01/7621; თარიღი: 20.08.2026) წარმოდგენამდე, თავდაპირველად თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა (თარიღი: 25.02.2026), რითაც მან გამოიყენა კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილება.* სარჩელი ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ მიღებულ იქნა წარმოებაში 2026 წლის 20 მარტის განჩინებით და მიმდინარეობს შესაბამისი სამართალწარმოება.

გ) სასამართლოსა და სააგენტოში განსახილველი მოთხოვნების სამართლებრივი საფუძვლების თანხვედრა

მომჩივანი სასამართლოში წარდგენილ სარჩელში მიუთითებს, რომ კონსოლიდირებული ტენდერის (აუქციონის გარეშე, CON260000078) ფარგლებში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვისას დაირღვა საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები, რამაც, მისი პოზიციით, გამოიწვია, მათ შორის, ჯანსაღი კონკურენციისა და საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული მეწარმეობის თავისუფლების უგულებელყოფა.[12]

შესაბამისად, შპს „M-სერვისი“ სასამართლოში დავობს, მათ შორის, ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: 1. პრეტენდენტებს შორის ჯანსაღი კონკურენციის უზრუნველყოფისა და არადისკრიმინაციული მიდგომის პრინციპების შესაძლო დარღვევა; 2. სატენდერო

[10] „თუ განცხადებაში აღნიშნული საკითხი სასამართლოს განსჯადია ან შეუძლებელია უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს დადგენა, ადმინისტრაციული ორგანო განცხადებას შესაბამისი დასაბუთებით დაუბრუნებს განმცხადებელს მისი შეტანიდან 5 დღის განმავლობაში“.

[11] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 2 ივლისის განჩინება საქმე N ბს-80-75.

[12] შპს “M-სერვისის“ მიერ 2026 წლის 25 თებერვლას წარდგენილი სარჩელ ადმინისტრაციულ საქმეზე, გვ.3

პირობების ეტაპობრივი და მიზანმიმართული მორგება კონკრეტული პრეტენდენტის პროდუქტზე; 3. სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული პირობების შესაძლო დარღვევა. მოსარჩელის პოზიციით, ტენდერის ფარგლებში არ იქნა უზრუნველყოფილი ჯანსაღი კონკურენცია, პროპორციული და არადისკრიმინაციული მიდგომა.[13]

მოსარჩელე მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად, მათ შორის, უთითებს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლს. აღნიშნული მუხლის „ბ“, ქვეპუნქტის თანახმად, კანონის ერთ-ერთი მიზანია სახელმწიფო საჭიროებისათვის აუცილებელი საქონლის წარმოების, მომსახურების გაწევისა და სამშენებლო სამუშაოს შესრულების სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარება. ამასთან, უთითებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 14 დეკემბრის №14 ბრძანებით დამტკიცებული „კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების“ მე-4 მუხლს, რომელიც კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების ერთ-ერთ პრინციპად შესყიდვის მონაწილეთა შორის ჯანსაღ კონკურენციას განსაზღვრავს.[14]

გარდა ამისა, მოსარჩელე სარჩელში აპელირებს, რომ მოპასუხეთა მხრიდან დაირღვა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების მოთხოვნები. საყურადღებოა, რომ თავად მოსარჩელე „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონებს, ერთობლივი ანალიზის კონტექსტში განიხილავს.[15] აღნიშნული გარემოება დამატებით მიუთითებს, რომ ***გასაჩივრებული აქტის მატერიალური კანონიერების შეფასებისას სასამართლოს მსჯელობის საგანი მოიცავს როგორც სახელმწიფო შესყიდვების, ისე კონკურენციის კანონმდებლობით დაცულ ინტერესებსა და შესაბამის სამართლებრივ მოთხოვნებს.***

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „M-სერვისის“ მიერ სასამართლოში წარდგენილი სარჩელის შინაარსიდან იკვეთება, რომ ***მოსარჩელე დავობს არა მხოლოდ სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის შესაძლო დარღვევაზე, არამედ იმავე ფაქტობრივი გარემოებების „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის ჭრილში შეფასებაზეც და კონკურენციის პრინციპების დარღვევაზეც, თანაც იმავე ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან, რომელთა წინააღმდეგაც საჩივარი სააგენტოში აქვს წარმოდგენილი.*** *კერძოდ, სარჩელში დაყენებულია ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან კონკურენციის შესაძლო შეზღუდვის საკითხი, რომლის აკრძალვასაც სწორედ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლი ითვალისწინებს, რადგან კანონში არ არსებობს სხვა მუხლი, რომელიც უშუალოდ ადმინისტრაციული/ სახელმწიფო ორგანოების მხრიდან კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევას სპეციალურად მიემართება.* მოსარჩელე

[13] *იქვე,* გვ.4

[14] *იქვე,* გვ.16-17

[15] *იქვე,* გვ. 3.

აღნიშნულ გარემოებებს გასაჩივრებული აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნის ერთ-ერთ სამართლებრივ საფუძვლად იყენებს, რასაც უშუალოდ სასამართლოში წარდგენილი სარჩელის შინაარსი ადასტურებს.

თავის მხრივ, ***სააგენტომ საკითხის განხილვისა და შეფასებისას, კონკურენციის კანონმდებლობასთან ერთად, უნდა გაითვალისწინოს სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი მოთხოვნები და საკითხი აღნიშნული ნორმების ურთიერთკავშირის საფუძველზე შეაფასოს, რასაც ადასტურებს სააგენტოს პრაქტიკა კანონის მე-10 მუხლის საფუძველზე განხორციელებული მოკვლევის ფარგლებში.[16]***

ამდენად, გასაჩივრებული აქტის მატერიალური კანონიერების შემოწმების ფარგლებში სასამართლოს მიერ შესაფასებელი გარემოებები არსებითად ემთხვევა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომელთა შეფასებაც სააგენტოს მოუწევდა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის შესაძლო დარღვევის დადგენის მიზნით. ფაქტია, რომ <u>ორივე შემთხვევაში შეფასების საგანია, სატენდერო პირობების ჩამოყალიბებისა და გამოყენების შედეგად შეიზღუდა თუ არა კონკურენცია, დაირღვა თუ არა არადისკრიმინაციული მიდგომის პრინციპი და ხომ არ მოხდა სატენდერო პირობების კონკრეტული პრეტენდენტის ან პროდუქტის სასარგებლოდ მორგება.</u>

მართალია, სასამართლოსა და სააგენტოს მიერ შესაბამისი საკითხის განხილვას შესაძლოა განსხვავებული სამართლებრივი შედეგები მოჰყვეს, რაც თავისთავად არ გამორიცხავს შესაფასებელი ფაქტობრივი გარემოებებისა და სამართლებრივი საკითხების არსებით თანხვედრას. მოცემულ შემთხვევაში განმსაზღვრელია არა მხოლოდ შესაბამისი წარმოებების შედეგად მისაღები სამართლებრივი შედეგის ფორმალური განსხვავება, არამედ ის, *თუ კონკრეტულად რომელი ფაქტობრივი გარემოებებისა და სამართლებრივი წინაპირობების შეფასება უწევთ სასამართლოსა და სააგენტოს.*

გარდა ამისა, ყურადსაღებია, რომ ერთი და იმავე გარემოებების პარალელურად შეფასებამ შესაძლოა წარმოშვას ერთი და იმავე საკითხის პარალელური და ურთიერთსაწინააღმდეგო სამართლებრივი შეფასების რისკი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ ხელისუფლების დანაწილების ფუნდამენტური კონსტიტუციური პრინციპი,[17] ადმინისტრაციული სამართლის ზოგადი პრინციპები და სააგენტოს მიერ აღსასრულებელი სპეციალური „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი, სააგენტოს ართმევს შესაძლებლობასა და უფლებამოსილებას, წარმოდგენილი საჩივრის საფუძველზე

[16] მაგალითისთვის, იხ. საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 10 აპრილის N 04/183 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფის" საქმე“, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2021 წლის 27 დეკემბრის ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება „ჯიპიაი ჰოლდინგის" საქმე“.

[17] იხ. საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 5.4.

დაიწყოს მოკვლევა, თუ სასამართლოში იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე მიმდინარეობს დავა.

გარდა ამისა, სააგენტო ყურადღებას ამახვილებს სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპზე, რომელიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან მომდინარეობს. საკონსტიტუციო სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაში განიმარტა სამართლებრივი უსაფრთხოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი – განსაზღვრულობის პრინციპი, რომელიც განამტკიცებს კანონმდებლობის განჭვრეტადობის გარანტიებს.[18] იმავე გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ „სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპის გათვალისწინებით, დაცული უნდა იყოს ლეგიტიმური მოლოდინები, რომელთა მიმართაც ინდივიდებს ნდობა გააჩნიათ. კანონით მინიჭებული უფლებების მიმართ მაღალია ინდივიდების ნდობის ხარისხი. აღნიშნული ნდობის გაუმართლებელი შერყევა ნეგატიურად აისახება სამართლის მიმართ ნდობასა და სამართლებრივ უსაფრთხოებაზე”.[19]

ამდენად, სააგენტო მიიჩნევს, რომ სასამართლოში მიმდინარე დავის პირობებში იმავე ფაქტობრივი გარემოებების პარალელური შეფასება არა მხოლოდ სცდება სააგენტოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებს, არამედ წარმოშობს ურთიერთსაწინააღმდეგო სამართლებრივი შეფასებების რისკს და საფრთხეს უქმნის სამართლებრივი უსაფრთხოების, განსაზღვრულობისა და ლეგიტიმური მოლოდინების დაცვის პრინციპებს.

4. საჩივრის დასაშვებობის სტანდარტი/შუალედური დასკვნა

მხარეთა მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის, მტკიცებულებების და დამატებით მოძიებულ ინფორმაციის ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო მიიჩნევს, რომ საჩივარი ვერ აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ დასაშვებობის სტანდარტს. მოცემულ შემთხვევაში, აღარ დგას სადავოდ გამხდარი, კონკრეტული ქმედების გონივრული ეჭვის სტანდარტის კუთხით შეფასების საჭიროებაც, ვინაიდან კანონის მე-10 მუხლის დისპოზიციით გათვალისწინებული შემადგენლობის შეფასება შესაძლებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ არ იარსებებდა კანონის 24-ე მუხლით გათვალისწინებული სააგენტოს მიერ საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის არც ერთი საფუძველი.

---

[18] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება №2/3/522,553 საქმეზე „სპს „გრიშა აშორდია” საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.“, II-37.

[19] *იქვე.*

განსახილველ შემთხვევაში, იმის გათვალისწინებით, რომ არ არსებობს საჩივრის დასაშვებობის ფორმალურ-სამართლებრივი საფუძველი, სააგენტო ვერ იმსჯელებს საჩივრის დასაშვებობის მატერიალურ სტანდარტთან დაკავშირებით და, შესაბამისად, სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას, შეაფასოს გონივრული ეჭვის არსებობა კანონის მე-10 მუხლის სავარაუდო დარღვევის კონტექსტში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმ ფაქტობრივი მოცემულობის გათვალისწინებით, რომ შპს "M-სერვისის" მიერ წარმოდგენილ საჩივარში დასმული საკითხები არის სასამართლო შესწავლის საგანი, აღნიშნული სცილდება სააგენტოს კომპეტენციას. აქედან გამომდინარე, საჩივარში დასახელებულ ქმედებებთან მიმართებაში არ არსებობს მოკვლევის დაწყების კანონით გათვალისწინებული საფუძველი, რაც კანონის 24-ე მუხლის შესაბამისად, საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის საფუძველია.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საჩივრის დაუშვებლად ცნობა არ უთანაბრდება მასში მოყვანილი შესაძლო სამართალდარღვევის არარსებობის შესახებ დასკვნას. სააგენტო, ნებისმიერ დროს, ახლადაღმოჩენილი/ახლადაგამოვლენილი გარემოების არსებობის პირობებში, ახალი საჩივრის საფუძველზე, ასევე, საკუთარი ინიციატივით, უფლებამოსილია დაიწყოს მოკვლევა შესაბამის ბაზარზე.

სარეზოლუციო ნაწილი

სარეზოლუციო ნაწილი „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის 17^1 მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, 24-ე მუხლის „ზ" ქვეპუნქტის, „საჩივრის ფორმის, მისი წარდგენის წესის და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურისა და ვადების დამტკიცების თაობაზე" სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის №38 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის მე-13 მუხლის მეორე პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და მე-3 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტისა და მე-14 მუხლის შესაბამისად,

სააგენტომ გადაწყვიტა:

1. დაუშვებლად იქნეს ცნობილი შპს „M-სერვისის" (ს/ნ: 202456920) 2026 წლის 20 აგვისტოს №01/7621 საჩივარი კანონის მე-10 მუხლის „ბ", „გ" და „ე" ქვეპუნქტების დარღვევასთან მიმართებით.

2. მომჩივანს უარი ეთქვას წარმოდგენილი საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებაზე.
3. წინამდებარე გადაწყვეტილება ეცნობოს მომჩივან და მოპასუხე მხარეებს, ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვით.
4. წინამდებარე გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში გამოქვეყნდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე, ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვით.
5. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).
6. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ირაკლი ლექვინაძე

თავმჯდომარე